*დანართი №2*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნ

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივი“ |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **შპს** |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 205257407 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | ✓ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას | |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას | |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..................................

ბ.ა.

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს<br><br>რაიონი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, ნაკვეთი 368; |
| ფაქტობრივი მისამართი | ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს<br><br>რაიონი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, ნაკვეთი 368; |
| საფოსტო ინდექსი | 0159 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skhivi.edu.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | skhivi@sxivi.edu,ge |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | (+995) 2596701 ; 2596702<br>2596703-ფაქსი |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | ეკა ჩიქობავა |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 555 370 053 |
| ელ-ფოსტა | ekachikobava@gmail.com |

## III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| მონიტორინგის განხორციელების საფუძველი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის 2020 წლის 12 თებერვლის ბრძანება #179380 |
| მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი) | ხათუნა ბარაბაძე - თავჯდომარე<br>ლიანა კობესაშვილი - წევრი |
| ვიზიტის განხორციელების პერიოდი | 19, 20 თებერვალი , 2020 წელი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| დასკვნის მომზადების თარიღი | 26/02/2020 წ |
| დასკვნის წარმოდგენის თარიღი | 27/02/2020 წ |

*შენიშვნა: მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა გრაფა არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.*



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

## IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☐ | ☒ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☐ | ☒ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებზონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☐ | ☒ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☐ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☐ | ☒ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☐ | ☒ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)** | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☐ | ☒ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☐ | ☒ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | | | |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☐ | ☒ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა [signature]
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ............................... [signature]

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

| სტანდარტი | საგანმანათლებლო პროგრამები | ხარვეზი |
|---|---|---|
| ქვესტანდარტი | 1.1. | .............. |
| | 1.2. | ............... |
| | | |
| სტანდარტი | მატერიალური რესურსი | |
| ქვესტანდარტი | 2.1. | სკოლის ეზოში მოწყობილია ორი სპორტული მოედანი, რომელიც არის მოასფალტებული და არ არის შემოღობილი მანქანების სავალი ნაწილისგან. ეს კი საფრთხის შემცველია მოსწავლეთა ჯანმრთელობისთვის.<br>სკოლის მე-3 სართულზე განთავსებულ სპორტულ დარბაზს აქვს ე.წ. „ამსტრონგის“ ჭერი, რომლის გამოც ბურთით თამაში საფრთხეს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | *შეუქმნის მოსწავლეთა ჯანმრთელობას.*<br><br>*სპორტულ დარბაზს არ აქვს სველი წერტილი და საშხაპე.* |
| | 2.3 | წიგნადი ფონდი ნაწილობრივ არის დამუშავებული, არის მეორადი განათება, კომპიუტერების რაოდენობა ცოტაა, ბიბლიოთეკის ტერიტორია პატარაა. |
| | 2.4 | *არ არის ადაპტირებული საპირფარეშო. არსებული ე.წ. ადპტორებული საპირფარეშო არ არის მორგებული ეტლით მოსარგებლე ადამიანისთვის და არ შეესაბამება სტანდარტებს.* |
| | 2.5 | |
| | 2.6 | *ექიმი ვერ იყენებს მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმებს, სკოლაში დასაქმებულთა და მოსწავლეთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად არ აწარმოებს რისკების მართვას, სიტუაციის* |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | ანალიზსა და საჭიროებების დადგენას. საჭიროების შესაბამისად არ ხდება ინტერვენციების დაგეგმვა და ინიციატივების განხორციელება.<br><br>არ წარმოებს მედიკამენტების აღრიცხვა. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის კონტროლი. შესაბამისი აქტივობების განხორციელება.<br><br>სკოლას დისციპლინური კომიტეტის არჩევისა და რეგულირების დოკუმენტი არ შეესაბამება რეალობას (მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ დირექტორი არ შედის დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში), დისციპლინურ კომიტეტს ფორმალური ხასიათი აქვს, თუმცა სკოლაში არის ფაქტები, რომელიც საჭიროებს სათანადო რეაგირებას. მაგ: მასწავლებლები ჯეროვნად არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და მოსწავლეთა უსაფრხო გარემოს უზრუნველყოფას. არ ხდება საკლასო ჟურნალებში მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა და ნიშნების დაჯამება. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | ადმინისტრაციის მხრიდან ჟურნალების მონიტორინგის პროცესი ვერ/ არ ხორციელდება სათანადოდ, თუმცა სკოლას ჰყავს სპეციელურად ამ მიმართულებით ბრძანებით დანიშნული პასუხისმგებელი პირი. |
| | 2.7 | სკოლის შინაგანაწესში არის მუხლი, რომელიც ლახავს მოსწავლეთა უფლებებს და პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას უწყობს ხელს. |
| | 2.8 | „სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სიტემა არ მოიცავს უწყვეტ ციკლს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას, ინტერვენციის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენას და ასე შემდეგ, უწყვეტ, გაუმჯობესებისკენ მიმართულ პროცესებს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ ეფუძნება წინა წლის შედეგების გადახედვას, რითაც ირღვევა ლოგიკური |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | *კავშირები.*<br><br>*წარმოდგენილ SWOT ანალიზის ფორმას არ აწერია პერიოდი . გაუგებარია რა მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვრა ძლიერი და სუსტი მახრეები, საფრთხეები და შესაძლებლობები.*<br><br>*სკოლამ ვერ წარმოადგინა მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები.* |
| | *2.9* | დარღვეულია სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესი: არ არის დანომრილი, ზონარგაყრილი, ბოლო გვერდზე არ არის ასახული გვერდების ჯამური რაოდენობა, დალუქული და დამოწმებული დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით. |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.4.* | თანამშრომელთა პირად საქმეებში არ იძებნება სავალდებულო აცრების დამადასტურებელი დოკუმენტი<br><br>რამდენიმე თანამშრომლის პირად საქმეში არ არის ფოტოსურათი, CV, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | ნასამართლეობის ცნობა, დიპლომის ასლი: |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | .............. |
| | *1.2.* | ............... |
| | *1.3* | |
| | *1.4* | • დაზუსტდეს რა ფორმით ხდება სემესტრული და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | საშემოდგომო გამოცდების ჩატარება (წერა/ზეპირი) და რა ტიპის დავალებები მიეცემათ მოსწავლეებს. ასევე რა მოხდება თუ მოსწავლე ვერ შეძლებს გამოცდაზე გამოცხადებას ობიექტური მიზეზების გამო.<br>• *შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში მეტი აქცენტი გაკეთდეს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენებაზე* |
| | *1.5* | *მშობელთა გამოკითხვის შედეგები დროულად დამუშავდეს.* |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.1.* | 1. სპრტული დარბაზები აღიჭურვოს სველი წერტილებით;<br>2. სპორტული დარბაზი გახდეს ბურთით თამასისთვის შესააბამის/უსაფრთხო;<br>3. მოაწყოს უსაფრთხო საფარიანი გარე მოედნები; გარე |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | მოედნები გაიმიჯნოს ავტომობილების სავალი ნაწილისგან; |
| | 2.2. | |
| | 2.3 | ყველა წიგნი დამუშვდეს სრულად საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, გაიზარდოს სამკითხველო სივრცის ფართი და დაემატოს ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები. |
| | 2.4 | მოაწყოს სსსმ მოსწავლეთათვის კანონმდებლობის შესაბამისი ადაპტირებული გარემო - საპირფარეშო; |
| | 2.6 | მოდიფიცირდეს მშობელთა ინფორმირების სისტემა, რატა მათ შეძლონ დროულად და მყისიერად მიიღონ ინფორმაცია მოსწავლეთა სკოლასი გამოცხადებისა და საგაკვეთილო პროცესზე დასწრების შესახებ;<br><br>დანერგოს მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და წესრიგის კონტროლის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | ეფექტური მექანიზმები;<br><br>აწარმოოს მასწავლებელთა მიერ ჟურნალისა და ოფიციალური დოკუმენტების წარმოების სისწორის მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის დროული და დაამკვიდროს ეფექტური მექანიზმები,<br><br>ექიმის მხრიდან განხორციელდეს მონაცემთა აღრიცვა და რისკების მართვა;<br><br>დანერგოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის ეფექტური მექანიზმები;<br><br>გადაიხედოს დისციპლინური კომიტეტის დებულება და მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში; |
| | 2.7 | შესწორდეს შიდა მარეგულირებელი საკანონმდებლო შეუსაბამო დებულებები  და მოსწავლის უპირატესი უფლებები და პერსონალური მონაცემები იყოს დაცული, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | *2.8* | აწარმოოს საჭიროებების კვლევა და უზრუნველყოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხარისხის უწყვეტი განვითარების ციკლის დამკვიდრება.<br>შექმნას მონაცემთა შეგროვებისა და გაანალიზების ეფექტური სისტემა, დაამკვიდროს კვლევაზე ორიენტირებული პროცესები.<br>შექმნას შეფასების ინსტრუმენტები სფეროების მიხედვით; |
| | *2.9* | უზრუნველყოს საქმისწარმოების ერთიანი სისტემის შემადგენელი სარეგისტრაციო ჟურნალების მოწესრიგება |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.1.* | *მოწესრიგდეს თანამშრომელთა პირადი საქმეები; სკოლის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა, რისთვისაც აუცილებელია იხელმძღვანელოს ადამიანური რესურსების* |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | *მართვის მექანიზმებით და ეს პროცესი გახადოს საჭიროებებზე მორგებული.* |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | სკოლა წლების განმავლობაში ატარებს სხვადსხვა ოლიმპიადებს, მათ შორის :<br>• მიმდინარე წელს ტარდება ქართული ენის რიგით მე-13 ოლიმპიადა - რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო და კერძო, ქართული და არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებს;<br>• STEM ფესტივალი-საგანმანათლებლო პროექტი, რომელში მონაწილეობის მიღებაც შეუძლიათ 12 დან-18 წლამდე ასაკის მოსწავლეებს;<br>• Spelling Bee”-მართლწერის კონკურსი ინგლისურ ენაში. მონაწილეობენ IV-VI , VII-IX, X-XII კლასის მოსწავლეები; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროექტები, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეები სტუმრობენ მოხუცთა თავშესაფარს, აწყობენ საქველმოქმედო გამოფენებს და შემოწირულობით მიღებულ თანხას გადასცემენ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს.<br><br>სკოლაში განთავსებულია „სიკეთის ყუთი“, სადაც სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები აგროვებენ ტანსაცმელს სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, მარტოხელა დედებისა და მათი შვილებისთვის.მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით სკოლა წლების განმავლობაში ატარებს სხვადსხვა ოლიმპიადებს, მათ შორის :<br><br>• მიმდინარე წელს ტარდება ქართული ენის რიგით მე-13 ოლიმპიადა - რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საჯარო და კერძო, ქართული და არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებს;<br>• STEM ფესტივალი-საგანმანათლებლო პროექტი, რომელში მონაწილეობის მიღებაც შეუძლიათ 12 დან-18 წლამდე ასაკის მოსწავლეებს; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • Spelling Bee"-მართლწერის კონკურსი ინგლისურ ენაში. მონაწილეობენ IV-VI , VII-IX, X-XII კლასის მოსწავლეები;<br>სოციალური უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა სოციალური პროექტები, რომლის ფარგლებშიც სკოლის მოსწავლეები სტუმრობენ მოხუცთა თავშესაფარს, აწყობენ საქველმოქმედო გამოფენებს და შემოწირულობით მიღებულ თანხას გადასცემენ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს.<br>სკოლაში განთავსებულია „სიკეთის ყუთი", სადაც სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები აგროვებენ ტანსაცმელს სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის, მარტოხელა დედებისა და მათი შვილებისთვის. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის" მისიაა საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ძირითადი მიზნების შესაბამისად განახორციელოს თავისი საქმიანობა. უზრუნველყოს უსაფრთხო და პოზიტიური გარემო. აღზარდოს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინფორმირებული, ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანად გამოყენების უნარისა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი აკადემიური განათლების მქონე, მაღალი ზნეობის, პატრიოტული სულისკვეთების, მულტიკულტურული და ტოლერანტული, კანონმორჩილი პიროვნება, რომელიც გააცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ისტორიული და კულტურული ღირებულებების მიმართ; თავად შექმნის ღირებულებებს და საკუთარ წვლილს შეიტანს საზოგადოების წინსვლაში და საქართველოს მსოფლიო ინტეგრაციაში. გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციების შესაბამისად, ხელს შეუწყობს მოზარდის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას, შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების გამომუშავებას, მრავალენობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბებას, დამოუკიდებელი, კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების განვითარებას. მოამზადებს მოსწავლეებს საერთაშრისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის. საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა საშუალებას მისცემს მათ ეზიარონ საერთშორისო სტანდარტებს, ევროპული ენების ცოდნა კი დაეხმარება შეისწავლონ ევროპის კულტურა და დაამყარონ ურთიერთობები უცხოელ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეებთან. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | წინა ვიზიტის დროს ექსპერტებმა დააფიქსირეს დაწყებით კლასებში განმსაზღვრელი შეფასების გამოყენების ფაქტები. ეს ფაქტი ეწინააღმდეგებოდა ე.ს.გ-ის მოთხოვნებს.<br><br>სკოლას განემარტა განმავითარებელი შეფასების როლი და მნიშვნელობა და მიეცა რეკომენდაცია I-IV კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასების გამოენების შესახებ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

## IX . ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდა შემდეგი

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს „ქართულ-გერმანულმა სკოლამ სხივი“ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან (2019 წლის 6 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1) და დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (2019 წლის 06 სექტემბერი. ბრძანება N7/42). სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია: ზოგადი დებულებები, სკოლის მისია, სკოლის ხედვა და ფასეულობები, სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები. სკოლაში სამუშაო პირობები და სასწავლო დღის განრიგი, საათობრივი ბადე დაწყებითი საფეხურისათვის, 2019-2020 სასწავლო წლისათვის არჩეული სახელმძღვანელოები, საგანმანათლებლო რესურსები, საგნობრივი ჯგუფების ჩამონათვალი და აღწერა, ეროვნული სასწავლო |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გეგმით გათვალისწინებული/ გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება დღის მეორე ნახევარში, სკოლის ორგანიზებით ჩატარებული მასშტაბური ღონისძიებები, რესპუბლიკური ოლიმპიადა, დამრიგებელი, დამრიგებლის მუშაობის მიზანი, კლასის და საფეხურის დაძლევა, გამოცდის ტიპები, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, ელექტრონული ჟურნალი, წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები, სკოლის საერთო კულტურა, კათედრები, კლასგარეშე ღონისძიებები, მშობლებთან ურთიერთობა, უსაფრთხო გარემო, სასწავლო პროცესის მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება და დასკვნა.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმა (გარდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა), განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და შესაბამისად უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა.<br><br>სკოლა სასწავლო წლის დასრულების შემდეგ აფასებს გაწეულ მუშაობას. კერძოდ სკოლის დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო წლის დასასრულს აკეთებენ წლიური მუშაობის შეჯამებას/ანგარიშს და ამავე ანგარიშში შეიმუშავებენ რეკომენდაციებს მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ. მაგ., გასულ სასწავლო წლის (2018-2019 სასწ.წ.)ანგარიშში საუბარია გერმანული ენის მეორე ენის სტატუსით შეთავაზებაზე რუსულ ენასთან |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ერთად, მშობლების და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე საგნების: ჭადრაკი და ცეკვა სტატუსის შეცვლაზე (ფაკულტატურიდან-სავალდებულოზე), ასევე კვირეული საათობრივი დატვირთვის გაზრდაზე ქართული ენაში, მათემატიკაში, ინგლისურ ენაში რაც ასახულია მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადეში. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე სკოლა მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისთვის მუშაობას იწყებს სასწავლო წლის დასრულებისთანავე და საფუძვლად იყენებს განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზს.<br>როგორც სკოლის დირექტორის გასული სასწავლო წლის ანგარიშში იყო დაანონსებული მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო საათობრივი ბადე განსხვავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საათობრივი ბადისაგან. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი საათობრივი ბადე წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრული საათობრივი ბადის მესამე მოდელს. სკოლას გაზრდილი აქვს საათობრივი დატვირთვა დაწყებით კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ინგლისურ ენაში (ინგლისური ენის სწავლებას იწყებს პირველი კლასის პირველივე სემესტრიდან. მას აქვს პირველი უცხოური ენის სტატუსი) მესამე კლასიდან მოსწავლეები იწყებენ მეორე უცხოური ენის შესწავლას (მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება რუსულ და გერმანულ ენებს შორის), გერმანული ენა ისწავლება მეშვიდე კლასის ჩათვლით, ხოლო რუსული ენა მეთორმეტე კლასის ჩათვლით. საბაზო საშუალო საფეხურებზეც საათები გაზრდილია მთელ რიგ საგნებში და შემცირებულია სამოქალაქო განათლებაში (ერთი საათი მე-9 კლასში), ფიზიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკასა და სპორტში, სკოლას 2019 წლის 5 სექტემბერს აღნიშნული |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საათობრივი ბადე გაგზავნილი აქვს შესათანხმებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (წერილი N4/155) (იხ. დანართი 1. 9 ფურცელი). პასუხი წერილზე სკოლის დირექტორის განცხადებით არ მიუღიათ. (ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლში ცვლილება, მოდელი III – საათობრივ ბადეს შეიმუშავებს თავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება თავისი შეხედულებისამებრ და სამინისტროში წარმოადგენს შესაბამის დასაბუთებას, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლის მიერ განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნის სტანდარტის შედეგების მიღწევას. ბრძანების მიღების თარიღია 08.08.2019 წელი, გამოქვეყნების თარიღია 14.08.2019 წ.).<br>სასკოლო საათობრივ ბადეში დამატებით სავალდებულო საგნის სტატუსით განსაზღვრულია ჭადრაკი (პირველ-მეხუთე კლასებში), ქართული ცეკა (პირველი-მეოთხე კლასები), გერმანული ენა (მერვე-მეათე კლასებში) ხოლო არჩევით საგნად თურქული ენა (მე-10-მე-12 კლასებში).<br><br>პირველ მეექვსე კლასებში სკოლა ასწავლის ფიზიკურ აღზრდას, ხოლო მე-7 მე-12 კლასებში მოსწავლეებს სპორტის სამ სახეობას სთავაზობს ესენია: კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ფეხბურთი.<br><br>სკოლა დღის მეორე ნახევარში მოსწავლეებს სთავაზობს:<br><br>✓ ეროვნული სასწავლო გეემით გაუთვალისწინებელ დამატებით |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას პირველ -მეექვსე კლასის მოსწავლეებს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფების სახით, სადაც ისინი პედაგოგის მეთვალყურეობით ამზადებენ დავალებებს;<br>✓ უცხოური ენების სწავლებას ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და თურქულ ენებში;<br>✓ ქართული ცეკვის სტუდიას;<br>✓ ხელოვნების წრეს;<br>✓ მაგიდის ჩოგბურთს;<br>✓ ჭადრაკის წრეს;<br>✓ ქართული ენის წრეს;<br>✓ აბიტურის მოსამზადებელ ჯგუფებს;<br>✓ შაბათის სკოლას.<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია ზოგადად აღნიშნული მომსახურების მიზნები და სამოქმედო გეგმები.<br><br>მე-9 და მე-11 კლასებში სკოლას განსაზღვრული ყავს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განმახორციელებელი პირები და გაწერილია გაკვეთილების ჩატარების განრიგი.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასებისა და დონეების მიხედვით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ..............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლა სასწავლო პროცესს განახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის წლიური პროგრამების მიხედვით.<br><br>ამრიგად, სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტების დაძლევას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2019 წლის 6 სექტემბრის ბრძანება N7/42 ;<br>• 2019 წლის 6 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1;<br>• მშობლების გამოკითხვის ბარათები ( არჩევანი რუსულ და გერმანულ ენებს შორის);<br>• სასკოლო სასწავლო გეგმა 2019-2020 სასწავლო წლისათვის;<br>• დიაგნოსტიკური წერების ანგარიშები;<br>• დირექტორის და მისიმმოადგილის ანგარიშები (2018-2019 სასწ.წ.) |
| შეფასება: | ☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ფუნქციონირებს 5 კათედრა. ესენია: 1. ქართული ენისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა, 2. უცხოური ენების კათედრა, 3.დაწყებითი კლასების კათედრა, 4.მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო საგნების კათდრა, 5.სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.<br>საგნობრივი კათედრების ფუნქციები სკოლას გაწერილი აქვს შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ დებულებაში და დაზუსტებული- სასკოლო სასწავლო გეგმაში და კათედრების დებულებებში. კათედრებს პორთფოლიოში წარმოდგენილი აქვთ საგნების მიხედვით სამოქმედო გეგმები, თემატურ-კალენდარული გეგმები და შემაჯამებელი დავალებების ჩატარების ვადები და ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზები.<br>საგნების მიხედვით გაწერილ სამოქმედო გეგმაში (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განხილული იქნა მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის სამუშაო მასალები) გათვალისწინებულია მოსწავლეების ჩართულობით რეფერატების, პრეზენტაციების, პროექტების მომზადება, ცდების ჩატარება. მოქალაქეობრივ პატრიოტული ცნობიერების და გარემოს დაცვითი კულტურის განვითარების მიზნით სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ექსკურსიების მოწყობა, სპექტაკლების ჩატარება, ვიზიტები კინოთეატრებში, საბავშვო მუზეუმებში და სხვა. სასურველია აღნიშნული ღონისძიებების გეგმა უფრო დაკონკრეტებულად იყოს წარმოდგენილი და კათედრების სამოქმედო გეგმასთან ერთად ასახავდეს/აკონკრეტებდეს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რომელ გამჭოლ უნარებისა და ღირებულებების განვითარებას ემსახურება.<br>აქვე უნდა აღინიშნოს რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები და კლუბები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებას.<br>მოსწავლეებში გარკვეული ტიპის უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზეა ორიენტირებული ასევე სადამრიგებლო პროგრამები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ დებულება;<br>• კათედრების პორთფოლიოები;<br>• სადამრიგებლო პროგრამები;<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან, კათედრის ხელმძღვანელებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლა აღიარებს თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და გამოხატავს მზაობას უზრუნველყოს ისინი სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს ინკლუზიური განათლების შესახებ და ქმნის ხელსაყრელ პირობებს ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის.<br><br>მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ირიცხება ორი სსსმ მოსწავლე. ორივე მოსწავლე სკოლის პირველ კლასში ჩაირიცხა 2018-2019 სასწავლო წელს და შეფასებულია სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. 2018 წლის 13 სექტემბრის N7/49 ბრძანებით განისაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო (ისგ) ჯგუფი. 2018 წლის 23 მაისის N7/30 ბრძნებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების შესაბამისად) სკოლამ დაამტკიცა ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი. სკოლამ ასევე წარმოადგინა 2019 წლის 13 სექტემბერს (ბრძანება N7/52) დამტკიცებული მიმდინარე სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ორივე სსსმ მოსწავლისათვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ისგ ჯგუფის შეხვედრები (ასახულია სხდომის ოქმებში) და განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ინახება მოსწავლეთა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პირად საქმეებში.<br><br>სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით გამოხატავს მზაობას გაუწიოს მოსწავლეებს შინსწავლების მომსახურება საჭიროების შემთხვევაში.<br><br>სკოლა ხელს უწყობს უცხოელი მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში. კერძოდ, სკოლაში მობილობით ჩარიცხულია თურქეთის სამი მოქალაქე. ერთი მათგანი ჩარიცხულია მესამე კლასში 2018 წელს, ორი მოსწავლე -მე-4 კლასში 2016 წელს. სამივე მოსწავლეს სკოლამ გაუკეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში შედეგად  მოსწავლეებმა შეძლეს დაეძლიათ შესაბამისი კლასის სტანდარტები ქართულ ენაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• 2018 წლის 23 მაისის ბრძანება N7/30 , შპს სკოლა-ლიცეუმ „სხივში“ ინკლუზიური განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ და ბრძანების დანართი;<br>• 2018 წლის 13 სექტემბრის N7/49 ბრძანება შპს „სკოლა-ლიცეუმ სხივში“ სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ;<br>• 2019 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N7/52 შპს „ქართულ-გერმანულ სკოლა |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სხივის“ ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ;<br>• შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა 2019-2020 სასწავლო წლისთვის;<br>• ინტერვიუ უცხოელ მოსწავლეებთან;<br>• სსსმ მოსწავლეების პირადი საქმეები;<br>• ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ქართულ ენაში უცხოელი მოსწავლეებისათვის. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები. აკადემიური მოსწრება ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | მიხედვით.<br><br>სკოლას გაწერილი აქვს საშემოდგომო და სემესტრული გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურა. სასურველია დაზუსტდეს რა ფორმით ხდება აღნიშნული გამოცდების ჩატარება (წერა/ზეპირი) და რა ტიპის დავალებები მიეცემათ მოსწავლეებს. ასევე რა მოხდება თუ მოსწავლე ვერ შეძლებს გამოცდაზე გამოცხადებას ობიექტური მიზეზების გამო.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები საგნების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმა კი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე რითაც უზრუნველყოფილია შეფასების ზოგადი რუბრიკების ცნობადობა სასკოლო საზოგადოებისათვის.<br><br>სკოლაში ტარდება დიაგნოსტიკური ტესტირებები VI-XII კლასებში. ტესტირება ხორციელდება კლასების მიხედვით თითქმის ყველა საგანში. ტესტრების შედეგებიდან გამომდინარე განისაზღვრება კვირის განმავლობაში საათების კონკრეტული რაოდენობა, რათა მასწავლებლებმა ინდივიდუალურად იმუშაონ იმ მოსწავლეებთან, რომელთაც |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ტესტირების შედეგების მიხედვით დაბალი მზაობა გამოავლინეს კონკრეტულ საგნებში. რაც შეეხება შემაჯამებელ დავალებებს, ამ შემთხვევაში ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იქნა განხილული შემაჯამებელი დავალებები ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ისტ-ში, მუსიკაში, გეოგრაფიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მათემატიკაში. მიმდინარე სასწავლო წლის პირველ სემესტრში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები ბიოლოგიაში ძირითდად ღია და დახურული ტიპის ტესტურ დავალებებს მოიცავდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო რეფერატი, ფიზიკაში შემაჯამებელი დავალებებში მოსწავლეები მუშაობენ დახურულ ტესტებზე და ამოცანებზე, ისტის შემთხვევაში მოსწავლეები ფასდებიან პრეზენტაციების მომზადების უნარებში, გეოგრაფიაში იყო ასევე ერთ შემთხვევაში რეფერატი, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში მოსწავლეებს ჰქონდათ კომპლექსური დავალება მიცემული, ხოლო ქართულ ენასა და ლიტერატურაში როლური თამაში (როლური თამაშის მტკიცებულებად მასწავლებელმა წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასების ჩეკლისტი და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ფოტო მასალა).<br><br>შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებში განსაზღვრულია სტანდარტის ის შედეგი, რომლის შეფასებასაც ითვალისწინებს კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, შეფასების კრიტერიუმები, მოსწავლეთა შედეგები და გამოვლენილ პრობლემების სავარაუდო მიზეზები, ასევე პრობლემებზე რეაგირების ზოგადი მექანიზმები.<br><br>შემაჯამებლების რაოდენობა განსაზღვრულია ესგ-ს მოთხოვნის დაცვით. რიგ შემთხვევაში ემთხვევა ესგ-თი განსაზღვრულ მინიმალურ რაოდენობას რიგ შემთხვევაში გაზრდილია მათი რაოდენობა, გაწერილია შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი.<br><br>ამრიგად სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი შეფასების სისტემის თავსებადია ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფილია შეფასების ზოგადი კრიტერიუმების გამჭვირვალობა. შემაჯამებელ დავალებებში წარმოდგენილია კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმები/რუბრიკები. შემაჯამებელი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დავალებების ანალიზის ფორმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით, ასევე გასულ სასწავლო წელს სკოლაში ჩატარებული დიაგნოსტიკური წერების შედეგების ანგარიშების მიხედვით მოსწავლეთა აკადემიური შედეგები გაანალიზებულია და ანალიზის შედეგები გამოიყენება მათი სასწავლო შედეგების პროგრესისათვის. შემაჯამებელ დავალებებში სჭარბობს ტესტური ტიპის დავალებები, თუმცა რიგ შემთხვევებში გვხვდება კომპლექსური და განსხვავებული ტიპის შემაჯამებელი დავალებებიც. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• შემაჯამებელი დავალებები;<br>• შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა;<br>• დირექტორის მოადგილის სემესტრული ანგარიშები;<br>• ინტერვიუ მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას სხვადასხვა დოკუმენტებში გაწერილი აქვს მშობლებთან ურთიერთობის და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. მშობლებთან ყოველდღიური კომუნიაცია მყარდება ელექტრონული ჟუნალის Edu Page-ის დახმარებით. ელექტრონულ ჟურნალს გააჩნია ოთხი ძირითადი მხარე: მასწავლებლის, მშობლის, მოსწავლის და ადმინისტრატორის. მშობელს საშუალება აქვს აკონტროლოს თავისი შვილის/შვილების დღის განრიგი, საშინაო დავალებები, შეფასებები, დასწრება/გაცდენები, ნახოს მოსწავლის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება.<br><br>მშობლებთან ურთიერთობისათვის ასევე გამოიყენება ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, ინდივიდუალური შეხვედრები, საკლასო კრებები, ღია გაკვეთილებზე მოწვევა, ვიზიტი ოჯახებში, ინტერნეტ საინფორმაციო გვერდი www.sxivi.ge, ელექტრონული ჟურნალი https://sxivi.edupage.org სოციალური ქსელი www.facebook.com/skolaliceumi.sxivi<br><br>განსაზღვრულია მშობელთა ოფიციალური კრების გამართვა წელიწადში 4-ჯერ (პირველი გაცნობითი ხასიათის, მეორე- პირველი სემესტრის შეჯამება, მესამე მეორე სემესტრის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შუალედური მეოთხე-სასწავლო წლის შემაჯამებელი).<br><br>სკოლამ წარმოადგინა მშობელთა გამოკითხვა, გამოკითხვის შედეგები დამუშავებული არ იყო.<br><br>მშობელთა განცხადებით სკოლა ითვალისწინებს მათ კანონიერ მოთხოვნებს და რიგ შემთხვევაში რთავს მოსწავლეებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღებაში (მაგ. მოსწავლეთა კვებასთან დაკავშირებით). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>• ელექტრონული ჟურნალი;<br>• ბრძანება N896 შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის“ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთნ ურთიერთობის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ. 2017 წლის 23. თებერვალი;<br>• ინტერვიუ ადმინისტრაციასთან. მშობლებთან, მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს შპს „ ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები (2019 წლის 6 სექტემბრის ბრძანება N7/43).<br><br>სკოლა აცნობიერებს, რომ მუდმივად უნდა ხდებოდეს საგანმანათლებლო პროცესის დიაგნოსტირება და სასწავლო გეგმის, სწავლების ხარისხის შეფასება და რომ ამისთვის მნიშვნელოვანია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის გამოყენება.<br><br>სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგის მიზნით სკოლა გეგმავს მოსწავლეთა, პედაგოგთა და მშობელთა გამოკითხვას (სკოლამ წარმოადგინა ჩატარებული გამოკითხვის ამსახველი დოკუმენტაცია, რომელიც ჯერ არ იყო გაანალიზებული), სასწავლო პროცესის მუდმივ კონტროლს, ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესულ ცვლილებების ანალიზს და შედეგების გათვალისწინებას სასკოლო სასწავლო გეგმაში, საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს და მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით ახალი სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო სასწავლო გეგმის შექმნას. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის სრულყოფისათვის შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, სადაც |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაწერილია განსახორციელებელი სამუშაოები და განხორციელების პერიოდი, კრიტერიუმები, რის მიხედვითაც მოხდება საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხარისხის, ადამიანური რესურსის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება/შეფასება.<br><br>სკოლის მიერ განხორციელებული შიდა შეფასება სკოლის განმარტებით მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა და არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხორციელდება სწავლის/სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესების, განვითარებისა და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მონიტორინგის შედეგების ანალიზის მიხედვით იგეგმება SWOT ანალიზის ჩატარება.<br><br>სკოლამ ასევე წარმოადგინა 2019 წლის 27 ივნისის ანგარიში სკოლაში განხორციელებული სამუშაო მონიტორინგის შედეგების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს სკოლის დირექტორი. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით შეფასებულია სკოლის მატერიალური, ადამიანური რესურსი და ხარვეზის ნაწილში დაფიქსირებულია მხატვრული ლიტერატურის ნაკლებობა, ხოლო გასატარებელ ღონისძიებებში სკოლის მიერ დამატებითი ლიტერატურის შესყიდვა/საბიბლიოთეკო ფონდის შევსება. 2019 წლის 09 ივლისის დირექტორის მოადგილისა და ხარისხის მართვის მენეჯერის მოხსენებითი |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბარათის საფუძველზე კი ირკვევა, რომ სკოლამ გააანალიზა გასული სასწავლო წლის შედეგები და მშობლების მოთხოვნები და მიმდინარე სასწავლო წლისთვის შეიმუშავა რეკომენდაციები. მაგ., მოსწავლეებში კითხვისა და წიგნიერების ამაღლების თვალსაზრისით გახშირდეს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის ან წიგნის დღეების ჩატარება, გაიზარდოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, ჩატარდეს ინტელექტუალური და ინტერაქტიული კონკურსები, გერმანული ენის სწავლების დანერგვა.<br><br>ამრიგად სკოლა ზრუნავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებაზე და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შედგენისას რაზე გამახვილდეს ყურადღება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2019 წლის 6 სექტემბრის 7/43 ბრძანება შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმის დამტკიცებაზე;<br>• შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი;სკოლის დირექტორის ანგარიში;<br>• შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ დირექტორის მოადგილისა და ხარისხის მართვის მენეჯერის მოხსენებითი ბარათი;<br>• ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.<br>• დაზუსტდეს რა ფორმით ხდება სემესტრული და საშემოდგომო გამოცდების ჩატარება (წერა/ზეპირი) და რა ტიპის დავალებები მიეცემათ მოსწავლეებს. ასევე რა მოხდება თუ მოსწავლე ვერ შეძლებს გამოცდაზე გამოცხადებას ობიექტური მიზეზების გამო;<br>• შემაჯამებელი დავალებების კომპონენტში მეტი აქცენტი გაკეთდეს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენებაზე;<br>• თემატური გეგმების შედგენისას გათვალისწინებული იქნას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თემატური გეგმის ზოგადი სქემები საგნების მიხედვით (ამ ეტაპისთვის VII კლასის ჩათვლით). |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რჩევები:** | • სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისში ან სემესტრის დასაწყისში დაგეგმოს შემაჯამებელ დავალებათა ტიპები, რითაც უზრუნველყოფს მის მრავალფეროვნებას;<br>• შეიმუშაოს სკოლის სტრუქტურული ერთეულების და სასკოლო სასწავლო გემის შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები;<br>• გაწეროს შეფასების მკაფიო პროცედურები. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| |
|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: |
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით: | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დაწესებულებას აქვს ერთ მისამართზე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 6090 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებულია 3250.4 კვ.მ შენობა/ნაგებობა (სამი სართული). საკადასტრო კოდი # 01.72.14.014.368 ; მესაკუთრე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დემირელის სახელმწიფო კერძო კოლეჯი, ს/ნ20479369 100%, რომლის წილს (არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს) ადევს ყადაღა: |
| *ფაქტობრივი მისამართი* | **საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, ნაკვეთი . 368** |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | # 01.72.14.014.368 |
| *კვ.მ.* | **6090 კვ.მ მიწის ფართი; შენობის ფართი 3250.4 კვ.მ .** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: განცხადების რეგისტრაცია #892018801462 – 14/09/2018 მომზადების თარიღი 14/09/2018 წ<br><br>ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პირების რეესტრიდან<br><br>განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: #B19036570, 01/04/2019<br><br>მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმით - განცხადების ნომერი 892018801462 |
| **შეფასება** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას გააჩნია სამ სართულიანი სასწავლო შენობა.<br><br>დაწესებულების პირველ სართულზე: 200 კვ.მ ფართში მოწყობილია სასადილო, რომელიც ემსახურება ერთდროულად 250 მოსწავლეს. 3 საკლასო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | საინფორმაციო დანიშნულების ოთახი, მოსასვენებელი ოთახი, მცირე საკონფერენციო ოთაზი, სააქტო დარბაზი 114 კვ.მ, სამედიცინო ოთახი, ბუღალტრის, დირექტორის მოადგილისა და სამნეო ნაწილის გამგის ოთახები. ასევე 4 სველი წერტილი (2 ინდივიდუალური, 1 გოგონების და 1 ვაჟების თითოეულში 4-4 კაბინა) ;<br><br>მეორე სართულზე: 11 საკლასო ოთახი, 1 ისტ-ის ლაბორატორია, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, 1 ჭადრაკის , 1 სამასწავლებლო, 1 დირექტორის მოადგილე პატარა, 1 რესურს ოთახი; 4 სველი წერტილი (2 ინდივიდუალური, 1 გოგონების და 1 ვაჟების თითოეულში 4-4 კაბინა), 1 დირექტორის მოადგილის ოთახი ;<br><br>მესამე სართული: 8 საკლასო ოთახი, 1 გერმანული ენის კაბინეტი, 1 თურქული ენის კაბინეტი, 1 მუსიკის კაბინეტი, 1 ხელოვნების კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, 1 არქივისტვის განკუთვნილი ოთახი, 2 სველი წერტილი (1 გოგონების და 1 ვაჟების თითოეულში 4-4 კაბინა) ;<br><br>სულ 21 საკლასო ოთახი და დამატებით კაბინეტ-ლაბორატორიები. ყველა საკლასო ოთახში და კაბინეტ ლაბორატორიაში არის ტექნიკური აღჭურვილობა: კომპიუტერი ან ლეპტოპი და 19 საკლასო ოთახში და კაბინეტ-ლაბორატორიებში დამონტაჟებულია პროექტორი.<br><br>ასევე 3 საკლასო ოთახი და 2 სველი წერტილი (1 გოგონების და 1 ვაჟების თითოეულში 4-4 |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კაბინა) განკუთვნილია საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისთვის. საბავშვო ბაღისთვის განკუთვნილი ფართი გადატიხრულია. ამ ფართში მოხვედრა შესაძლებელია საერთო მოხმარების კიბის მეშვეობით.<br><br>საკლასო ოთახები და კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია ინვენტარით:<br><br>სასწავლო ინდივიდუალური მერხი სკამით - 500;<br><br>დაფა - 34 ცალი<br><br>კომპიუტერი - 46 ცალი;<br><br>ლეპტოპი - 6 ცალი;<br><br>პროექტორი - 26 ცალი;<br><br>ეკრანი -<br><br>პრინტერი - 20 ცალი; მათ შორის 1 ცალი A3 ფორმატის; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | „ჭკვიანი დაფა“ – 1 ცალი<br>პიანინო - 2 ცალი;<br>მუსიკალური სინთეზატორი - 1 ცალი;<br>22 ცალი კომპიუტერის მაგიდა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერებით;<br>სასკოლო ინვენტარის შესყიდვის ხელშეკრულებებით და ზედნადებით;<br>ინვენტარიზაციის დოკუმენტებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ეზოში მოწყობილია ორი სპორტული მოედანი, რომელიც არის მოასფალტებული, არ არის გამიჯნული ავტომობილების სავალი ნაწილისგან და საფრთხის შემცველია მოსწავლეთა ჯანმრთელობისთვის.<br><br>სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სააქტო დარბაზი 114 კვ.მ ფართით( რომელიც გამოიყენება სპორტული დარბაზის დანიშნულებითაც საჭიროების შემთხვევაში).<br><br>სკოლის შენობის მე-3 სართულზე განთავსებულია 140 კვ.მ ფართის სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით: 3 ცალი მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა და 40-მდე წყვილი ჩოგანი ბურთებით, ასევე მსუბუქი ხელბურთის ბურთები. დარბაზის ჭერზე მოწყობილია „ამსტრონგის" ჭერი, რაც საფრთხის შემცველია ბურთის მოხვედრის შემთხვევაში მოსწავლეთა ჯანმრთელობისთვის. დარბაზს ესაზღვრება დამხმარე ოთახი, რომელიც გადატიხრულია ნახევრად ღია ტიხრით და გამოიყენება გოგონებისა და ვაჟების გასახდელად. გოგონების გასახდელში შესასვლელი არის დარბაზიდან, ხოლო ვაჟების გასახდელში - გარე დერეფნიდან. გასახდელებში არ არის არც სველი წერტილი და არც საშხაპე.<br><br>ერთი საშხაპე არის შენობის პირველ სართულზე განთავსებულ სველ წერტილში. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერებით;<br><br>ფოტო სურათები |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | 1 ისტ-ის კაბინეტი, 1 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, თურქული ენის კაბინეტი, სარეზერვო კლას- კაბინეტი, გერმანული ენის კაბინეტი. მუსიკის კაბინეტი, ხელოვნების კაბინეტი, ჭადრაკის კაბინეტი.<br><br>ლაბორატორიები აღჭურვილია სრული კომპლექტით და თანამედროვე ტექნიკით, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის. სადემონსტრაციო მაგიდებით, ექსპერიმენტის ჩატარებისთვის საჭირო ქიმიური მოწყობილობებით, ნიჟარებით, ამპერმეტრებითა და ვოლტმეტრებით, მიკროსკოპებით, თვალსაჩინოებებით, მოდელებთ, მანიპულატორებით და ა.შ. სკოლას აქვს ლაბორატორიის მოხმარების წესი (დებულება). |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კომპიუტერული ლაბორატორიაში განთავსებულია 22 კომპიუტერი , პროექტორი, პრინტერი, ეკრანი, დაფა.<br><br>მუსიკის კაბინეტში მოთავსებულია პიანინო და სკამები;<br><br>უცხო ენების კაბინეტი აღჭურვილია ტექნიკით;<br><br>ჭადრაკის კაბინეტში განთავსებულია 9 საჭადრაკო დაფა რომელიც განთავსებულია 9 მაგიდაზე და 18 სკამით, ასევე კედელზე დამაგრებულია თვალსაჩინო მაგნიტური დაფა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერებით,<br><br>23/02/2017 წ ბრძანება #895 შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის" ლაბორატორიის გამოყენების წესის (დებულების) დამტკიცების შესახებ; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის ყველა სართულზე მოწყობილია სველი წერტილი: პირველ სართულზე - 4 სველი წერტილი. *მეორე სართულზე* 4 , ხოლო მესამე სართულზე 2 სველი წერტილი სკოლის მოსწავლეთა მოხმარებისთვის (დამატებით 2 სველი წერტილი საბავშვო ბაღის ტერიტორიაზეა).<br><br>სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სიტემა, ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება და ელ. ენერგიის მიწოდების უწყვეტი წყარო. სკოლის საკუთრებაში არის ელ.გენერატორი (რომელიც განთავსებულია სკოლის უკანა ეზოში შენობიდან 5 მ მოცილებით და ელ. ენერგიის გათიშვის შემთხვევაში უზრუნველყოფს დენის მიწოდებას საკლასო ოთახებისა და გათბობის სიტემისთვის).<br><br>შ.პ.ს. წარმოადგენს ელ. ენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის დამოუკიდებელ აბონენტს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სს “თელასთან “ 2011 წელს გაფორმე ბული ხელშეკრულება; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შ.პ.ს. „ყაზ ტრანსგაზთან“ 2019 წლის 4 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება #16/8033 ბუნებრივი აირის ნასყიდობის შესახებ;<br>ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ 2011 წელს გაფორმებული ხელშეკრულებამიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები(დოკუმენტები, ინტერვიუ და სხვა).<br>შესაბამისი გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სკოლაში არის ბიბლიოთეკა მეორადი განათებით. ბიბლიოთეკაში სამკითხველო დარბაზი და წიგნების საცავი ერთ სივრცეშია. სამკითხველო დარბაზში ერთდროულად 7 პირს შეუძლია მუშაობა. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | ბიბლიოთეკაში დგას ინტერნეტში ჩართული 1 კომპიუტერი, პრინტერი და ქსეროქსი, რაც საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია მოძიებული იქნას ინტერნეტწყაროებიდან, მოხდეს საჭირო მასალის ქსეროასლის დამზადება და მიწოდება მომხმარებლისთვის.<br>ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხვა და შემდეგ უკვე მათი მოძრაობის აღრიცხვა წარმოებს ელექტრონულად ექსელის ბაზაში. წარმოდგენილი ელექტრონული კატალოგის მიხედვით სკოლას აქვს 305 ერთეული ქართულენოვანი მხატვრული ლიტერატურა, 235 ერთეული ინგლისურენოვანი ლიტერატურა, 16 ერთეული ლიტერატურა რუსულ ენაზე, თურქულენოვანი სახელმძღანელოები და ლიტერატურა ჯამში 132 ერთეული, სასკოლო სახელმძღანელოები ჯამში 477 ერთეული (ყველა კლასის გრიფირებული სახელმძღვანელო მინიმუმ 1 ცალი), მასწავლებლის წიგნები 91 ერთეული, ჟურნალ-გაზეთები 124 ერთეული, აუდიო-ვიდეო მასალა 20 ერთეული, დამხმარე სახელმძღვანელოები 100 ერთეული. წიგნების ნაწილი დამოწმებული და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, ნაწილი კი მხოლოდ პირველ გვერდზეა დამოწმებული ბეჭდით. წიგნები თაროებზე განლაგებულია თემატურად. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკა თავის საქმიანობას ახორციელებს ბიბლიოთეკის დებულების და წლიური სამოქმედო გეგმის შესაბამისად. სამოქმედო გეგმაში გაწერილია დაგეგმილი აქტივობების ჩამონათვალი. ბიბლიოთეკა წლის ბოლოს აჯამებს თვის საქმიანობას, წარადგენს ანგარიშს და აკეთებს საკუთარი საქმიანობისა და საჭიროებების ანალიზს, გამოკვეთს ძლიერ და სუსტ მხარეს, გაუმჯობესების გზებს და საფრთხეებს.<br>ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ......................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკის გამოყენების წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს „სკოლს-ლიცეუმი სხივის“ ბიბლიოთეკის გამოყენების წესის (დებულების) დამტკიცების შესახებ 2017 წლის 23 თებერვლის ბრძანება N894;<br>შპს „სკოლს-ლიცეუმი სხივის“ ბიბლიოთეკის გამოყენების წესი (დებულება);<br>ხელშეკრულება -გაფორმებული გაზეთ შპს „ახალ განათლებასთან“;<br>წიგნების შესყიდვის აქტები;<br>სასაქონლო ზედნადებები;<br>მიღება-ჩაბარების აქტები;<br>ვიზუალური დათვალიერება;<br>ბიბლიოთეკარის ანგარიში; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის გარემო ნახევრად ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის. მთავარ შესასვლელში და შენობის ერთ (მარჯვენა) მხარეს განთავსებულ კიბეებზე არსებობს ხის პანდუსი (რომელიც ამ დროისთვის კედელზეა მიმაგრებული); პირველ სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც არ შეესაბამება ნორმებს, კერძოდ: ადაპტირებული სველი წერტილი განთავსებულია გოგონების საპირფარეშოში, კაბინაში უნდა მოხვდე ერთ საფეხურიანი კიბით, რომელზეც პანდუსი ვერაფრით მოეწყობა, კაბინის კარი არის 65 სმ, რითაც შეუძლებელია ეტლით მოსარგებლემ ისარგებლოს (ეტლი ვერ შევა კაბინაში). ხელსაბანს არ აქვს საყრდენები, რაც სსსმ მოსწავლეს შეუქმნის პრობლემებს.<br><br>სკოლას აქვს რესურს ოთახი, სადაც მოთავსებულია, სხვადასხვა მანიპულატორები და ნატიფი მოტორიკის გასავითარებელი ინსტრუმენტები (სათამაშოები).<br><br>სკოლას, 23/02/2017 წლის ბრძანება #897 -ით დამტკიცებული აქვს „შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის“ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთა სპეციალური პროგრამა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერებით<br><br>შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის“ დირექტორის ბრძანება #897 23/02/2017 წ<br><br>13/09/2019 წ ბრძანება #7/52 შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივის“ ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან | სკოლას აქვს ვებ. გვერდი www. skhivi.edu.ge , რომელიც იძლევა სკოლის შესახებ სრული |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ინფორმაციის მოძიების საშუალებას.<br><br>აქვს ელ. ფოსტა. info@sxivi.ge<br><br>სოციალური ქსელში აქტიური გვერდი - https://www.facebook.com/skolaliceumi.sxivi<br><br>სასწავლო მიზნების განხორციელებისათვის სკოლას აქვს ჯამში ინტერნეტში ჩართული 52 პერსონალური კომპიუტერი, რომელიც გადანაწილებულია ისტ ლაბორატორიაში, სამასწავლებლოში, საინფორმაციო ოთახში, ბიბლიოთეკაში, ლაბორატოტრიებში, სააქტო დარბაზში და თითქმის ყველა საკლასო ოთახში (19 საკლასო ოთახში და კაბინეტ-ლაბორატორიებში).<br><br>ასევე 19 საკლასო ოთახში და კაბინეტ- ლაბორატორიებში, სააქტო დარბაზში დამონტაჟებულია პროექტორები და ეკრანები. სულ სკოლის ბალანსზე არსებული პროექტორების რაოდენობა არის 29. სკოლას აქვს 1 „ჭკვიანი დაფა“<br><br>სკოლაში მოქმედებს ელ. ჟურნალი, რომელშიც დღის ბოლოს ყველა მასწავლებელს შეჰყავს მონაცემი თითოეული მოსწავლის დასწრებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ. ასევე აწვდიან უკუკავშირს კომენტარების სახით. ეს ინფორმაცია კი ხელმისაწვდომია მშობლისთვის. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შესყიდვების დოკუმენტაცია;<br><br>შპს დომენური სახლის რეგისტრაციის ხელშეკრულება # 2002/5 20/02/2020 წ<br><br>შპს „ქლაუდ ცხრა“სთან საიტი - www. Sxivi.edu.ge - თვის 3 გბ სივრცის გამოყოფის შესახებ;<br><br>სს „გლობალ ერთი“-თან დადებული ხელშეკრულება 08/08/2016 წ<br><br>საიტი - www. skhivi.edu.ge<br><br>ელ. ფოსტა: info@sxivi.ge<br><br>სოციალური ქსელში აქტიური გვერდი - https://www.facebook.com/skolaliceumi.sxivi<br><br>ელ. ჟურნალის დათვალიერებით;<br><br>მშობლებთან გასაუბრებით და მათთან მისული შეტყობინებების დათვალიერებით (მშობლის ნებართვით); |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლის შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. ყველა სართულზე, სააქტო დარბაზში და კაბინეტ-ლაბორატორიებში მიმაგრებულია ცეცხლმაქრი და მათი მოხმარების ინსტრუქცია, სულ 11 ცეცხლმაქრი. ამათგან 11 ცეცხლმაქრი გადატენილია; სხვენის ხის კონსტრუქციებიც დამუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით 2016 წლის 6 ივლისის შპს „უსაფრთხოება და გარანტის"- თან გაფორმებული ხელშეკრულების #72 და შპს „უსაფრთხოება და გარანტის" მიერ გაცემული ინვოისი 1/121 7/06/2019 წ შესაბამისად. სკოლაში არის უსაფრთხოების დაფა, მოქმედებს სიგნალიზაციის სიტემა (კვამლის დეტექტორები), დანიშნულია სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ვიზუალური დათვალიერებით;<br><br>შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივის" დირექტორსა და შპს „უსაფრთხოება და გარანტის" - |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თან გაფორმებული ხელშეკრულება #72 6/06/2019 წ<br><br>ინვოისი #1/121 7/06/2019 წ |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლას ჰყავს ბრძანებით შექმნილი საგანგებო ვითარების პირობებში მოქმედი ოპერატიული შტაბი,<br><br>შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის" დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | დათვალიერებით;<br><br>შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის" დირექტორის ბრძანება #7/35 25/09/3017 საგანგებო სიტუაციებზე |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ;<br><br>შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივისა" და შპს. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარ სამმართველოს შორის ფორმებული ხელშეკრულება #23/8 5/05/2016 წ. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ჰყავს ექიმი, აქვს სათანადოდ აღჭურვილი ექიმის კაბინეტი. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: კარადა, მაგიდა, საწოლი (ტაფჩანი), მაცივარი, სველი წერტილი. პირველადი მოხმარების მედიკამენტები.<br><br>სკოლის ექიმის ფუნქციები და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მექანიზმები გაწერილია შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის" დირექტორის ბრძანება #900 23/02/2017 წ დამტკიცებულ ექიმის დებულებაში, ასევე გაწერილია სამედიცინო ოთახის მოხმარების წესი.<br><br>გასაუბრებისა და დათვარიელების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის ექიმი არ აწარმოებს |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გაცემული მედიკამენტებისა და მოსწავლეთა/მასწავლებელთა მიერ ავადობების/ ჩივილების მიმართვიანობის აღრიცხვას. არ აქვს თავმოყრილი კლასების მიხედვით მოსწავლეთა სპეციფიური საჭიროებების, აცრების ამსახველი დოკუმენტაცია (ისტორიები).<br><br>მონიტორინგის ჯგუფის (ჯგუფის ხელმძღვანელის) სამედიცინო ოთახში ყოფნის პერიოდში ჩივილით შემოსულ მოსწავლეს ექიმმა გაუწია დახმარება, მისცა ტკივილგამაყუჩებელი აბი, თუმცა არ აღრიცხა. ექიმთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ იგი იცნობდა მოსწავლეს და მის საჭიროებას (მოსწავლეს ჰქონდა კბილების „ბრიკეტებით"გამოწვეული ტკივილი), ამდენად მან აღარ ჩათვალა მიზანშეწონილად გაეფორმებინა აღნიშნული ფაქტი. ინტერვიუდან როგორც გაირკავ ექიმი საერთოდ არ აწარმოებს გაცემული მედიკამენტების აღრიცხვას. წელიწადში მხოლოდ ორჯერ ხდება წამლების შესყიდვა, თუმცა შესასყიდი მედიკამენტების და პირველადი დახმარების საშუალებების რაოდენობისა და სახეობების დადგენა არ მიმდინარეობს საჭიროებების ანალიზის საფუძველზე. ეს ეწინააღმდეგება სკოლის დებულების მუხლი 16. სკოლის ექიმი/ექთანი, მე-2 პუნქტი: აკვირდება და აანალიზებს სკოლაში არსებული ავადობის შემთხვევებს და შეიმუშავებს შესაბამის მითითებებსა და რეკომენდაციებს;<br><br>ექიმმა ასევე ვერ წარმოადგენა სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგისა და კონტროლის ამსახველი მასალა, თუმცა საუბრის დროს აცხადებდა, რომ სისტემატურად ახორციელებდა საპირფარეშოებში ქაღალდის, საპნის და სველი წესით დასუფთავების |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კონტროლს. აღსანიშნავია, რომ ჩემ მიერ განხორციელებული ერთ-ერთი ინდივიდუალური საპირფარეშოს მონიტროინგის პროცესში აღმოჩნდა, რომ იქ არ იყო ქაღალდი და საპონი, ხოლო ვაჟების საპირფარეშოში (მე-2 სართულზე) არ იყო საპონი (მე-2 გაკვეთილზე). საპირფარეშოების საპნით და ქაღალდით უზრუნველყოფა ევალებათ სართულის დამლაგებლებს. დამლაგებელმა განმარტა, რომ ჩაასხა საპონი, თუმცა „ბავშვები თამაშობენ და ასხამენ", თუმცა ჩამოსხმის კვალი არსად ეტყობოდა.<br><br>ექიმის მხრიდან არ ხდება არც მასწავლებლების ან მოსწავლეების მხრიდან შემოსული ჩივილების აღრიცხვა, მონიტორინგი და საჭიროებების იდენტიფიცირება. ასეთი უკონტროლო ქმედება კი ხელს ვერ შეუწყობს საჭიროებებზე ორიენტირებული სამედიცინო მომსხურების დაგეგმვას და მოსწავლეთა ავადობის/ჩივილების კატეგორიზაციას და შესაძლო რისკების მართვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ინტერვიუ ექიმთან;<br><br>დათვალიერებით;<br><br>მედიკამენტების შესყიდვების დოკუმენტაციის დათვალიერება; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების გაწერილი დებულება;<br><br>ექიმთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის კუთვნილი ტერიტორია შემოღობილია. შესასვლელში განთავსებულია მცირე ზომის დაცვის ჯიხური. სკოლას ემსახურება დაცვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში გამოცხადებულ მოსწავლეთა უსაფრთხოებასა და შენობაში უცხო პირის გადაადგილების კონტროლს, თუმცა არ მიმდინარეობს შესაბამისი ჟურნალის წარმოება (უცხო პირის მონაცემებისა და ვიზიტის მიზნის აღრიცხვა). სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა შესვლა-გასვლის ჟურნალი, სადაც ხელმოწერით ფიქსირდება მოსვლის და წასვლის დრო. დირექტორის ბრძანებით შექმნილია მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი, რომელის შესრულებაც კონტროლდება მორიგე მოადგილის მიერ. მორიგეობის ცხრილი გამოკრულია სამასწავლებლოში საინფორმაციო დაფაზე.<br><br>დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციებში რეაგირების გეგმა; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი; ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.<br><br>საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების " პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სკოლას შესათანხმებლად გაგზავნილი აქვს შპს ქართულ -გერმანული სკოლა სხივში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელზეც დასტური პასუხი სკოლას ჯერ არ მიუღია.<br><br>სკოლას დებულებით განსაზღვრული აქვს სტრუქტურული ერთეულები. მათ შორის დიციპლინური კომიტეტი, რომელიც წარმოადგენს არჩევით ორგანოს. გაწერილია დიციპლინური კომიტეტის დებულება (მუშაობის წესი), რომელიც შედგება შემდეგი მუხლებისგან: ზოგადი დებულებები, დებულების მიზანი: სკოლის საქმიანობისთვის ხელშეწყობა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ სკოლის შეინაგანაწესისთ, ხელშეკრულებითა და სხვა დებულებებით დამტკიცებული წესების შემთხვევაში, რეაგირების განხორციელების მექანიზმები; დისციპლინური კომიტეტის სტატუსი - სადაც ვკითხულობთ, რომ 3.4. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილეები და მასწავლებლები“. შეუძლებელია ამ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემადგენლობის არჩევა, რადგან სკოლას საშტატო განრიგით და წესდებით ჰყავს ერთი დირექტორი და ორი მოადგილე, რაც უალტერნატივოდ გულისხმობს მათ „არჩევას“. ასევე არ არის განსაზღვრული მასწავლებელთა რაოდენობა „3.5. დისციპლინური კომიტეტის წევრთა შემადგენლობას სკოლის დირექტორი წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად და მისი ფუნქციონირების ვადა 5 წლით განისაზღვრება.; ასევე გაწერილია დისციპლინური სახდელები, დისციპლინურ კომიტეტში საქმისწარმოების დაწყების საფუძვლები და მიმდინარეობა; დისციპლიმური კომიტეტის სხდომის მიმდინარეობის წესი; მუხლი 7. კვორუმი : საიდანაც ირკვევა, რომ 7.2. დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. გაუგებარია, რამდენი ადამიანისგან უნდა შედგებოდეს დისციპლინური კომიტეტი და ნახევარი რამდენია? 3.4 პუნქტის საპირწონედ. მუხლი 8 . დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა, მუხლი 9. დისციპლინური კომიტეტის სხდომის მიერ გადაწყვეტილების მიღება 9.4. მიღებული გადაწყვეტილების ასლი მიეწოდება, ბრძანების გამოცემის მიზნით, სკოლის დირექციას, სხდომის ჩატარებიდან არა უგვიანეს 3 დღის ვადაში. (სკოლის წესდებაში დირექტორის ფუნქციებში ვკითხულობთ, რომ 5.3.1. დ) მიიღოს და გაანთავისუფლოს მუშაკები. წესდების შესაბამისად დირექტორი უფლებამოსილია ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება.); ასვე გაწერილია გასაჩივრების წესი; დისციპლინური წარმოების დაწყების ხანდაზმულობის პერიოდები; დებულების მიღებისა და |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასში ცვლილებების შეტანის წესი.<br><br>შეუსაბამობა დაფიქსირდა ასევე შინაგანაწესის 22-ე მუხლში განცხადება/საცივრის განხილვა და წარმოებაში მიღება:<br><br>22.1 დირექტორმა ან/და *პედაგოგიურმა საბჭომ* განცხადების მიღებიდან 3 დღის განმავლობაში, უნდა შეისწავლოს საქმის მასალები, მიიღოს გადაწყვეტილება არსებობს თუ არა დისციპლინური დევნის აღძვრის საკმარისი საფუძვლები და მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ და გადასხეს საქმია საქმის მასალები დისციპლინურ კომიტეტს - აქ აშკარად დარღვეულია სკოლაში საქმისწარმოების წესიც და ირღვევა პირის უფლებები, რომლის საკითხის გარჩევაც ხდება პედაგოგიური საბჭოს მიერ, საჯაროდ. უნდა მოვიდეს კანონთან შესაბამისობასი ყველა დოკუმენტი.<br><br>უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის" დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია:<br><br>1. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (დებულება)<br>2. ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შპს შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის" შიდა ინსტრუქციები;<br>3. შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის" შენობა-ნაგებობასა და ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესები; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 4. შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივი“ს შინაგანაწესი<br>5. შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივი“ს დებულება<br>6. შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივი“ს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი;<br>7. მშობლებთან ინფორმირებისა და მშობლებთან ურთიერთობის შესახებ;<br><br>მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს წესრიგის დაცვის მექანიზმები გაწერილი, მათი დანერგვის პროცესი ნაკლებად შეიმჩნევა სკოლაში. მონიტორინგის პროცესში მასწავლებლების მხრიდან გამოიკვეთა ჟურნალის წარმოების წესის დარღვევის ფაქტები, თუმცა სკოლის ადმინისტრაციას არ ჰქონდა განხორციელებული (და არც განუხორციელებია ჩვენი ვიზიტის ყოფნის პერიოდში) სათანადო რეაგირება. ასე მაგალითად: მე-12 კლასში ირიცხება 17 მოსწავლე, თუმცა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მე-2 გაკვეთილის მსვლელობისას, შენობის დათვარიელების და სასწავლო პროცესის მონიტორინგის პროცესში (დირექტორისა და დირექტორის მოადგილის თანდასწრებით) აღმოჩნდა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს ესწრებოდა 10 მოსწავლე, თუმცა 7 მოსწავლის გაკვეთილზე არ ყოფნა ჟურნალში ასახული არ იყო. ამავე დროს საკლასო ოთახში იდგა 13 მერხი და სკამი, ნაცვლად 17 მერხი და სკამისა. სკოლის ადმინისტრაციამ მერხებთან დაკავშირებული ინციდენტი განმარტა იმით, რომ წინა დღეს სააქტო დარბაზში ღონისძიების ჩასატარებლად გაიტანეს და დროულად ვერ დააბრუნესო. (ამ ინციდენტის შემდეგ საკლასო ოთახი შეავსეს 19 მერხითა და სკამით) |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა

მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემთხვევითი პრინციპით გადამოწმების შედეგად ნიშნებისა და დასწრების აღრიცხვიანობის მიმართულებით შეუსაბამობა დაფიქსირდა ქართული ენისა და მათემატიკის გვერდების წარმოების დროსაც. მაგ: გასული სემესტრის 2019 წლის 15 ნოემბერს ქართული ენის გვერდზე „არა“ ეწერა #7 და #8, მოსწავლეებს და #20 მოსწავლეს ჰქონდა ნიშანი „8“ დაფიქსირებული, მაშინ როცა იმავე დღეს, 15 ნოემბერს, მათემატიკის გაკვეთილს არ ესწრებოდა #20 , ხოლო მათემატიკის გაკვეთილს არ ესწრებოდა ასევე #16, ნაცვლად (#7. #8 მოსწავლეებისა). იმავე მე-12 კლასის ჟურნალის მონიტორინგის დროს გამოიკვეთა შემდეგი ტიპის წარმოების დარღვევა:<br><br>მათემატიკის გვერდი არ იყო წარმოებული 28 იანვრის შემდეგ (არც აღრიცხვა, არც ნიშნები, არც დაჯამებული არ იყო გრაფები), ფიზ-აღზრდის (სპორტის) გვერდზე არ იყო აღრიცხვა და არ იყო გრაფები დაჯამებული, პირველ სემესტრში არჩევითი საგანი „თურქული ენის“ გრაფა საერთოდ არ იყო ნაწარმოები (არც ნიშნები, არც „არები“, არც დაჯამება), თუმცა სემესტრის ბოლოს ყველა მოსწავლე იყო შეფასებული .<br><br>ჟურნალის წარმოების შეცდომები დაფიქსირდა მე-9 კლასშიც. მასწავლებლებს ან დაჯამებული არ ჰქონდათ ნიშნები, ან მოსწავლეთა დასწრება არ ჰქონდათ აღრიცხული. (ინგლისური ენა და მათემატიკა).<br><br>იმავე მე-9 კლ. ჟურნალში დაფიქსირდა შეცდომის არასწორად შესწორების ფაქტები. კერძოდ: |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაჯამების გრაფაში ისე იყო გადაკეთებული ციფრი, რომ არ ჩანდა საწყისი ციფრი და ამ გადასწორების შესახებ ინფორმაცია შენიშვნების გვერდზე არ იყო ასახული.<br><br>სკოლის ხელმძღვანელობასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ჟურნალის კონტროლზე ჰყავთ ცალკე პიროვნება დანიშნული, რომელიც ყოველი კვირის ბოლოს ამოწმებს ჟურნალის წარმოებას. ასევე მოსწავლეთა დასწრება კონტროლდება; მოსწავლეთა გაშვება ხდებ, ავადობის გამო ან დირექორის მოადგილის ნებართვით მშობლის ინფორმირების შემთხვევაში. თუმცა მოთხოვნის საფუძველზე სკოლის ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული მოსწავლეების გაშვების, ან საპატიო გაცდენის ამსახველი დოკუმენტები (არც ექიმთან არ იყო ჩანაწერი, არც გაშვების ფურცელი იყო, არც მშობლის მხრიდან შეტყობინების ამსახველი მესიჯი/განცხადება). მოწოდებული განმარტება ვერ ჩაითვალა სანდოდ, ვინაიდან მოსწავლის გაშვების (საპატიო) შემთხვევაშიც კი მოსწავლის არ ყოფნა საგაკვეთილო პროცესზე უნდა აისახოს ჟურნალში ჩანაწერით „არა“. აღნიშნულიდან გამომდინარე ჟურნალებზე კონტროლი ვერ სრულდება ჯეროვნად და დირექტორის მხრიდან სათანადო რეაგირება არ ფიქსირდება ( დისციპლინური გადაცდომის არცერთი ფაქტი არ აქვთ გადაცემული დისციპლინურ კომიტეტისთვის). ამავე დროს ირღვევა უსაფრთხოების ნორმები (მოსწავლის არ გამოცხადების შემთხვევაში მოსწავლის ადგილ-სამყოფელი გაუგებარია მანამ, სანამ მშობელს შეეხმიანება კლ. ხელმძღვანელი ან მდივანი, რომელებიც სასწავლო პროცეისის დაწყებისთანავე ვერ ახერხებენ მშობელთან |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეტყობინების გაგზავნას. მშობელთან შეტყობინება იგზავნება 30-45 წთ-ის შემდეგ . ჩვენი მონიტორინგის დროს მე-2 გაკვეთილზე მოსწავლეთა მშობლებთან არ იყო შეტყობინება გაგზავნილი, ვინაიდან მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესზე არ ყოფნა არ იყო აღრიცხული) და ხდება მოსწავლეებში არასწორი ღირებულების ფორმირება (არსებული წესების დარღვევის მაგალითის მიმცემი ხდება მასწავლებელი და მოსწავლეები ხედავენ, რომ ამ დარღვევაზე სკოლის ადმინისტრაცია სათანადოდ არ რეაგირებს). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის“ დირექტორის ბრძანება #7/11 18/04/2017 წელი წესრიგის დაცვის მექანიზმების (დებულების) დამტკიცების შესახებ<br><br>შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის“ დირექტორის ბრძანება # 7/7 5/02/2018 წელი ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შპს შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის“ შიდა ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ;<br><br>30/04/2018 წლის ბრძანება #7/22 შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის“ შენობა-ნაგებობასა და ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებული წესების დამტკიცების შესახებ; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 17/01/2019 წ ბრძანება # 7/3 უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;<br><br>06/02/2019 წ ბრძანება # 7/8 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;<br><br>07/02/2019 წ ბრძანება #7/9 უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ;<br><br>13/09/2019 წ ბრძანება # 7/58 შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივში" მორიგეობის შემოღების შესახებ;<br><br>13/01/2020 წ ბრძანება # 7/6 შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივის" დირექტორის 2019 წლის 13 სექტემბრის შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივში" მორიგეობის შემოღების შესახებ 7/58 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;<br><br>შპს „სკოლა-ლიცეუმი სხივის" დირექტორის ბრძანება #896 მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ და მშობლებთან ურთიერთობის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ<br><br>შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივი"ს შინაგანაწესი; 6/09/2019 წლის ბრძანება #7/44 შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივის" შინაგანაწესში ცვლილების შეტანის შესახებ; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 23/02/2017 წ ბრძანება #891 შპს „სკოლა -ლიცეუმი სხივის" დებულების დამტკიცების შესახებ<br><br>13/09/2019 წ ბრძანება #7/45 შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივი"სშპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივი"ს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;<br><br>სკოლის მიერ გაგზავნილი წერილები: წერილი # 4/214 17.10.2019; წერილი # 4/215 17.10.2019; წერილი #4/15 04/02/2020;<br><br>შემოსული წერილი: MES 02000043769 17/01/2020<br><br>სკოლის დისციპლინური კომიტეტის დებულება (მუშაობის წესი) დამტკიცებულია შპს „სკოლა-ლიცეუმის სხივის" პედაგოგიური საბჭოს მიერ 2016 წლის 5 სექტემბერი ოქმი #1. (სკოლის დასახელება არ არის სწორად მითითებული დოკუმენტზე)<br><br>2016 წლის 5 სექტემბრის ოქმი #1<br><br>04/11/2016 წ გაფორმებული ხელშეკრულება 1/3891 შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან;<br><br>01/09/2019 წ გაფორმებული ხელშეკრულება შპს „სარანგი"თან ობიექტის დაცვის ხელშეკრულება; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 16/09/2019 წ გაფორმებული ხელშეკრულება შპს „ვიქტორ გრუპ“ თან დასუფთავების შესახებ |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებულია 29 ვიდეო კამერა , მათგან 2 გარე ხედვის ვიდეო კამერა. ვიდეო კამერების პარამეტრები შეესაბამება შსს მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანებით განსაზღვრულ პარამეტრებს და დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.<br><br>სკოლის დერეფნები, კიბის უჯრედები, სასადილო, მიმდებარე გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო კამერებით. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დატვალიერებით;<br>18/05/2018 წ ხელშეკრულება #1 შპს `ALESTA“ -თან;<br>08/03/2012 წ ხელშეკრულება #09/15 შპს „ჯორჯიან აიტი გრუპ“-თან;<br>შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს წესდება, შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ დირექტორის ბრძანება # 7/44 06/09/2019 წ. მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი,შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ დირექტორის ბრძანება # 7/45 13/09/2019 წ. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დამტკიცებული სკოლის დებულება,<br><br>სკოლის შინაგანაწესი და დებულება უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურებს. შინაგანაწესში გაწერილია ზოგადი დებულებები, დაწესებულების პერსონალისტვის მოქმედი ზოგადი ეთიკური ნორმები; სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; წახალისების ფორმები; დისციპლინური წარმოება, გადაცდომა და მისთვის გათვალისწინებული დისციპლინური სახდელები; მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლების დაცვის გარანტიები; დასაქმებულის სამსახურში მიღება, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; მოსწავლის მიღება/ჩრიცხვა და დასკვნითი დებულებები.<br><br>შინაგანაწესის მუხლი 11. მონიტორინგის ფორმები ვკითხულობთ 11.1.გ): სკოლის დირექტორს ხელმძრვანელს, უფლება აქვს, მასწავლებელთან შეთანხმებით მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევასი მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ნება დართოს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობაზე - ამით ირღვევა ე.ს.გ და მოსწავლის უპირატესი უფლება მისი აკადემიური მოსწრებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირისტვის არ მიწოდების უფლება; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ასევე ზემოაღნიშნული ჩანაწერი ეწინააღმდეგება შინაგანაწესი, შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ დირექტორის ბრძანება # 7/45 13/09/2019 წ. დამტკიცებული სკოლის დებულების მუხლი 35 მე-2 პუნქტს, სადაც ვკითხულობთ: მოსწავლის აკადემიური მოსწრების, პირადი ურთიერთობების, დისციპლინის (თუ ის არ არღვევს სხვათა უფლებებს, არ განიხილება დისციპლინურ გადაცდომად) შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი განხილვა საჯაროდ დაუშვებელია. მოსწავლის პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამრიგებელი ან ადმინისტრაციის წევრი, პირადად ხვდება მშობელს.<br><br>სკოლას ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პედაგოგიური საბჭოს“ დებულება, სადაც გაწერილია ზოგადი დებულებები, პედ. საბჭოს მიზნები და ამოცანები, პედაგოგიური საბჭოს წევრობა, პედ. საბჭოს წევრის უფლებები და მოვალეობები, პედ. საბჭოს ფუნქციები, პედ. საბჭოს მდივნისა და თავმჯდომარის არჩევის წესი, პედ. საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები, პედ. საბჭოს სხდომა და გადაწყვეტილების მიღების წესი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ დირექტორის ბრძანება # 7/44 06/09/2019 წ. მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი<br><br>13/09/2019 წ ბრძანება #7/45 შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივი“სშპს ქართულ-გერმანული |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლა „სხივი"ს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;<br><br>შპს „ქართულ-გერმანული სკოლა სხივის" დირექტორის ბრძანება # 7/44 06/09/2019 წ. წესდების შესახებ<br><br>დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პედაგოგიური საბჭოს" დებულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამუშაო გეგმები, შეფასებისა და მონიტორინგის წესი.<br><br>თუმცა ერთწლიანი გეგმები არ ეფუძნება საჭიროებების კვლევას და სიტუაციურ ანალიზს. შეფასებისა და მონიტორინგის წესში გაწერილია პროცედურები, შეფასების სფეროები, |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მონაცემების შეგროვების წყაროები. *ამ წესის მე-2 მუხლის 1 პუნქტში გაწერილია რომ : „სკოლაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სიტემა მოიცავს უწყვეტ ციკლს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას, ინტერვენციის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენას და ასე შემდეგ, უწყვეტ, გაუმჯობესებისკენ მიმართულ პროცესებს“.*<br><br>სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა მშობლებისა და მოსწავლეების მიერ შევსებული კითხვარები სკოლის კმაყოფილების კვლევისთვის, თუმცა ვეღარ წარმოადგინა ამ კითხვარების ინტერპრეტაციის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნები და საჭიროებების აღმოსაფხვრელად დაგეგმილი ინტერვენციები. განხორციელებისა და ინტერვენციების შეფასების შედეგები და მიღებული დასკვნები.<br><br>ასევე წარმოადგინეს SWOTანალიზი, თუმცა რომელი წლის და რა მონაცემების საფუძველზე გააკეთა ასეთი შეფასება სკოლას არ განუმარტავს.<br><br>მოთხოვნის შესაბამისად სკოლამ ვერ წარმოადგინა წინა წლის 2018-2019 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორები, გამოვლენილი საჭიროებების ამსახველი მასალები და 2019 - 2020 წლის სამოქმედო გეგმის შედგენის საფუძვლები. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი შეფასებისა და მონიტორინგის წესში გაწერილი შესაფასებელი სფეროების |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ინსტრუმენტები/რუბრიკები. განხორციელებული შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები და შედეგად შეგროვებული ინფორმაციის გაანალიზებული მასალები, შესაბამისად დაგეგმილი ინტერვენციები. არც სსგ-ში ან ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ არის ასახული ლოგიკური კავშირების საჭიროებებსა და ინტერვენციებს შორის. ეს კი მიუთითებს, რომ სკოლას არ გააჩნია ხარისხის ეფექტური კონტროლის სისტემა. |
| | **შევსებული კითხვარები მშობელთატვის, მოსწავლეებისტვის;** |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივ"ს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. აქვს დამტკიცებული ბეჭდის და ტიტულის ფორმებიც. სკოლამ წარმოადგინა შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის,დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების აღრიცხვის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ჟურნალები, თუმცა არც ერთი სარეგისტრაციო ჟურნალი არ იყო დანომრილი, ზონარგაყრილი, ბოლო გვერდზე არ იყო ასახული გვერდების ჯამური რაოდენობა, დალუქული და დამოწმებული დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | რეგისტრაციის ჟურნალების ვიზუალური დათვალიერებით;<br><br>23/02/2017 წ ბრძანება #892 შპს სკოლა ლიცეული „სხივის“ საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ;<br><br>02/04/2019 წ ბრძანება # 7/18 შპს ქართულ-გერმანული სკოლა „სხივის“ ბეჭდისა და სატიტულო ფურცლის ნიმუშის დამტკიცების შესახებ; |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | 1. დანერგოს მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და წესრიგის კონტროლის ეფექტური მექანიზმები;<br>2. აწარმოოს მასწავლებელთა მიერ ჟურნალისა და ოფიციალური დოკუმენტების წარმოების სისწორის მონიტორინგი და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დროული და ეფექტური მექანიზმები დაამკვიდროს,<br>3. დანერგოს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის ეფექტური მექანიზმები;<br>4. შესწორდეს შიდა მარეგულირებელი საკანონმდებლო შეუსაბამო დებულებები ;<br>5. გადაიხედოს დისციპლინური კომიტეტის დებულება და მოვიდეს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში;<br>6. ექიმის მხრიდან განხორციელდეს მონაცემთა აღრიცვა და რისკების მართვა;<br>7. უზრუნველყოს საქმისწარმოების ერთიანი სისტემის აღრიცხვის , რეგისტრაციის ჟურნალების მოწესრიგება<br>8. მოაწყოს სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემო - საპირფარეშო;<br>9. სპრტული დარბაზები აღიჭურვოს სველი წერტილებით და უსაფრთხო ჭერით, მოაწყოს უსაფრთხო გარე მოედნები;<br>10. აწარმოოს საჭიროებების კვლევა და მოსწავლეზე ორიენტირებული და ხარისხის უწყვეტი განვითარების ციკლის უზრუნველყოფა. შექმნას მონაცემთა შეგროვებისა და გაანალიზების ეფექტური სისტემა, დაამკვიდროს კვლევაზე ორიენტირებული პროცესები. შექმნას შეფასების ინსტრუმენტები სფეროების მიხედვით;<br>11. უზრუნველყოს მშობელთა დროული და მყისიერი ინფორმირების სისტემა; |
| რჩევები: | მასწავლებლებმა პირნათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული ვალდებულებები, რათა ხელი შეუწყონ მომავალი თაობის სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას. თავად გახდნენ მოდელები კანონის დაცვისა და შესრულების. უზრუნველყონ მოსწავლეთა დასწრებისა და აკადემიური |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწრების ობიექტური და გამჭვირვალე სისტემის დანერგვა.<br><br>დისციპლინური კომიტეტი გახდეს ქმედითი და ფუნქციური ორგანო.<br><br>სკოლამ თავისი საქმიანობის ვექტორი მიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებული და საჭიროებების კვლევებზე მიმართული პროცესების დანერგვისკენ. უზრუნველყოს დინამიური პროცესების განხორციელება/დოკუმენტირება. იზრუნოს, რომ არსებული მექანიზმები რეალისტური და ქმედითი გახდეს.<br><br>მოსწავლე და მისი ჯანმრთელობა გახდეს პრიორიტეტი და ამ მიზნით უზრუნველყოს სპორტული მოედნების მოწყობა და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება, არ გამოიყენოს ისეთი სადეზინფექციო საშუალება, რომელიც შეიცავს ქლორს.<br><br>მოაწესრიგოს საკანონმდებლო ბაზა. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ხარვეზები: | 1. არ მოქმედებს მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და წესრიგის კონტროლის ეფექტური მექანიზმები;<br>2. მასწავლებლების მხრიდან არ წარმოებს ჟურნალში მოსწავლეთა დასრების აღრიცხვა;<br>3. არ წარმოებს მასწავლებელთა მიერ ჟურნალისა და ოფიციალური დოკუმენტების წარმოების სისწორის მონიტორინგი;<br>4. არ ხორციელდება ხარვეზების აღრიცხვა და აღმოფხვრის დროული და ეფექტური მექანიზმების დამკვიდრება,<br>5. არ მოქმედებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის ეფექტური მექანიზმები;<br>6. შეუსაბამობაა შიდა მარეგულირებელი საკანონმდებლო დებულებებს შორის. შინაგანაწესი შეიცავს მოსწავლეთა უფლებების შემლახავ დებულებებს ;<br>7. შესასწორებელია დისციპლინური კომიტეტის დებულება;<br>8. ექიმის მხრიდან არ ხორციელდება მონაცემთა აღრიცვა, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის აღრიცხვა და რისკების მართვა;<br>9. საქმისწარმოების ერთიანი სისტემის აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალები არ არის დანომრილი, ბეჭედდარტყმული, დალუქული ,ზონარგაყრილი და ხელმოწერილი;<br>10. სსსმ მოსწავლეთათვის არ არის ადაპტირებული გარემო - საპირფარეშო;<br>11. სპრტული დარბაზში არ არის სველი წერტილები;<br>12. სპორტულ დარბაზში არ არის სტანდარტის შესაბამისი ჭერი და გასახდელები;<br>13. გარეთ მოაწყობილი მოედნები არ არის შემოფარგლული, მიმდებარე ტერიტორიაზე |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გადაადგილდებიან მანქანები და არ არის უსაფრთხო ხელოვნური/ბუნებრივი საფარი;<br>14. არ წარმოებს სკოლის საჭიროებების კვლევა და მოსწავლეზე ორიენტირებული და ხარისხის უწყვეტი განვითარების ციკლის უზრუნველყოფა.<br>15. არ არის მონაცემთა შეგროვებისა და გაანალიზების ეფექტური სისტემა, არ მიმდინარეობს კვლევაზე დაფუძნებული პროცესები;<br>16. არ არის შეფასების ინსტრუმენტები სფეროების მიხედვით; |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების შესაბამისი ადამიანური რესურსი. სულ- 12 ადმინისტრაციული თანამშრომელი (მათ შორის: დირექტორი, დირექტორის მოადგილე 2, ექიმი, ბუღალტერი, სპეც. მასწავლებელი, მდივანი, ტექნიკური მენეჯერი, იურისტი და ა.შ.) და 42 მასწავლებელი.<br><br>თანამშრომელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება სსგ-ით გათვალისწინებულ საათობრივ დატვირთვას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | თანამშრომელთა პირადი საქმეები;<br><br>თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;<br><br>ინტერვიუებით, |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 42 |
| მოწვეული/მაძიებელი | 3 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 11 |
| უფროსი მასწავლებლი | 27 |
| წამყვანი მასწავლებლი | 1 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან | სკოლის ყველა პედაგოგის განათლება შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ 21[3] |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მასწავლებლების პირადი საქმეების დათვალიერებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება #174/ნ საფუძველზე.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს სამუშაოზე მიღების წესი - შიდა და ღია კონკურსის წესი. კონკურსის წესით შერჩეულ ყველა პედაგოგთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. მასწავლებელთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს სკოლის დირექტორი. |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლაში არის დანერგილი წახალისების მექანიზმები- ფულადი ჯილდო, მადლობა, და ა.შ.<br><br>სკოლა აძლევს დანამატებს სტატუსების მიხედვით მის მიერ შემუშავებული დანამატთა გაცემის ტარიფით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 21/08/2019 წლის ბრძანება #7/35 შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის“ დირექტორის 2018 წლის 20 ივლისის შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ #7/38 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ;<br><br>ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br><br>ინტერვიუ ბუღალტერთან;<br><br>Pedagogi.ge -საიტზე ვაკანსიის გამოცხადების გადამოწმება სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის პროფესიის რეგულირების პროგრამის წარმომადგენლებთან მიმართვის საფუძველზე; |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლებთან, ტექნიკურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები,კანონმდებლობის შესაბამისად. თითოეულ თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც განსათავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის 29-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად.<br><br>პირად საქმეში უნდა იდოს დოკუმენტების შემდეგ ჩამონათვალი: ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი, ნასამართლეობის ცნობა, დიპლომის ასლი, სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ინდ. ფორმა სავალდებულო აცრების შესახებ.<br><br>ყველა თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე და ხელშეკრულება, თუმცა მათ პირად საქმეებში არ იძებნება დოკუმენტი სავალდებულო აცრების შესახებ. ასევე რამდენიმე თანამშრომლის პირად საქმეში არ არის ფოტოსურათი, CV, ნასამართლეობის ცნობა, დიპლომის |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ასლი:<br><br>(ნათია ცერცვაძე, ქეთევან შოვნაძე, ანა კოტრიკაძე, ნელი ნარიმანიძე, ბელა მიქუტიშვილი, ხატუნა თოფურია, ეკატერინე ბაიდარაშვილი - აკლიათ ფოტოსურათები;<br><br>ბელა მიქუტისვილი, ქანოღლე, ხათუნა თოფურია, ავთანდილ გუნდაძეს  აკლიათ ნასამართლეობის ცნობა;<br><br>ნინო კალანდიას, ქეთევან ლილუასვილს - აკლია CV;<br><br>ხათუნა თოფურიას - აკლია დიპლომი) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | პირადი საქმეების დათვალიერება;<br><br>თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ყველა მასწავლებელი ჩართულია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემაში. პედაგოგები მონაწილეობენ სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების აქტივობებში.<br><br>სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები, რომელიც დამტკიცებული ადირექტორის მიერ. დოკუმენტი მოიცავს ზოგად დებულებებს, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების მიზნებს, ამოცანებს, სწავლის ხარისხის ამაღლების, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების გზებს; განსაზღვრულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ხელმძღვანელი პირები; ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები; გაწერილია დასაქმებულთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლის ვალდებულებები, შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის მექანიზმები, პროფესიული განვითარება, მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასების ფორმები, მოტივაციის ამაღლების |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სტრატეგიები, დასკვნითი დებულებები.<br><br>სკოლას ჰყავს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის დებულება; |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | შპს სკოლა -ლიცეუმის სხივის მასწავლებლის შეფასების ჯგუფის დებულება - დამტკიცებულია შპს სკოლა -ლიცეუმის სხივის მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ<br><br>08/10/2015 წლის ბრძანება #691 კათედრების მიერ შეფასების ჯგუფის წევრების კანდიდატების პედაგოგიური საბჭოს სხდომისტვის წარმოდგენის შესახებ;<br><br>15/09/2015 წლის #2394 წერილი ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელისადმი სკოლის მასწავლებლების eschool.emis.ge ბაზაში ჩარტვისა და პროფილების გააქტიურების შესახებ |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოქმედებს დაცულობის, კეთილგანწყობის, პასუხისმგებლობების გადანაწილების და უფლება -მოვალეობებების დელეგირების სიტემა, სკოლის დებულებასი გაწერილია თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები; სკოლის დირექციის კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი, მასწავლებლენბისა და მშობლებისადმი ხელს უწყობს თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას.<br><br>სკოლა უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის დაზღვევას.<br><br>მასწავლებელთა დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში გაიცემა გაცდენილი საათების შესაბამისი ანაზღაურება;<br><br>ყველა თანამშრომელს ეძლევა საშვებულებო თანხა 40 დღის ოდენობაზე გათვლილი; |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია დიდი ზომის კარადა/ყუთი, რომელსაც აწერია : უწილადე ტანსაცმელი აჩუქე სითბო! " „ჩაყარე შემოწირული ტანსაცმელი აქ" . მოსწავლეები და თანამშრომლები საქველმოქმედო აქციის სახით აგროვებენ ტანსაცმელს მიუსაფარი ბავშვებისა და ადამიანების დასახმარებლად, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ემპათიის, თანაგანცდის, თანაგრძნობის უნარისა და მოყვასზე მზრუნველი პიროვნების ჩამოყალიბებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ინტერვიუ მასწავლებლებთან;<br>სკოლის დებულება<br>ინტერვიუ ბუღალტერთან;<br>2019 წლის 16 ნოემბერს სს სადაზღვეო კომპანია „უნისონთან" გაფორმებული ხელშეკრულება # MED00224 სამედიცინო (ჯანმრთელობის ) და უბედური შემთხვევისგან კორპორატიული დაზღვევის შესახებ.<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი .....................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | სკოლამ მოაწესრიგოს თანამშრომელთა პირადი საქმეები, თავად უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება საჭიროებების შესაბამისად, რისტვისაც აუცილებელია იხელმძრვანელოს ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმებით და ეს პროცესი გახადოს საჭიროებებზე მორგებული |
| რჩევები: | სკოლამ მოაწესრიგოს თანამშრომელთა პირადი საქმეები. |
| ხარვეზები: | მოსაწესრიგებელია თანამშრომელთა პირად საქმეები |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ................................

ბ.ა.

X. თანდართული დოკუმენტაცია:

ყველა სტანდარტის და ქვესტანდარტის მტკიცებულებასი გაწერილი დოკუმენტაცია, ფოტო მასალა. ყველა დოკუმენტი დასკანერებულია და ატვირთულია DVD დისკზე (1 ცალი)

............................ ..................................

(შევსების ადგილი) თბილისი, თარიღი 26/02/2020 წ

გვერდების რაოდენობა: 233 გვერდი 18 ფოტოსურათი



მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომა
მონიტორინგის ჯგუფის წევრი ......................................................
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ...............................

ბ.ა.